საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030130111005821

№ 01-9/ო **11 / იანვარი / 2022 წ.**

COVID-19-ზე ტესტირების აღრიცხვის ელექტრონულ მოდულში განსხვავებული შემთხვევების რეგისტრაციის თაობაზე

მუხლი 1. ,,იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებით განსაზღვრული ,,მწვანე“ სტატუსით სარგებლობის უფლების მიღების მიზნით, ამავე დადგენილების ,,3[3]“ მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული, კოვიდგატანილი იმ პირებისათვის, რომელთა ტესტირების შედეგები სხვადასხვა მიზეზით არ არის ასახული სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) COVID-19-ზე ტესტირების აღრიცხვის ელექტრონულ მოდულში (შემდგომში - მოდული), ტესტირების შედეგების რეგისტრაცია განხორციელდეს შემდეგი წესით:

ა) ტესტირების მიმწოდებელ შერჩეულ დაწესებულებებს, ასევე, ცენტრს და სსიპ - ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს მიეცეთ უფლება, ამ მუხლი ,,ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, მოდულში დაარეგისტრირონ 2021 წლის 1 დეკემბრამდე ჩატარებული იმ ტესტირების (ანტიგენის ან პჯრ მეთოდით) დადებითი შედეგები, რომლებიც არ არის ასახული მოდულში, ან ასახულია შეცდომით;

ბ) მოდულში რეგისტრაცია დასაშვებია, თუ:

ბ.ა) აღნიშნული ბენეფიციარები იძებნებიან სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში-ჯესი) და/ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“-ის (შემდგომში – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112‘‘) ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში. კერძოდ, ჯესი-ს მონაცემთა ბაზებში არსებული ჩანაწერებით აღნიშნული პირები COVID-19-ის დიაგნოზით გადიოდნენ მკურნალობის კურსს სტაციონარში და/ან სასტუმროში, და/ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112‘‘-ის ელექტრონული ბაზების მიხედვით, მკურნალობდნენ ბინაზე ოჯახის ექიმის/დაზღვევის ექიმის მეთვალყურეობით და ამავე ბაზაში მინიჭებული აქვთ სტატუსი ,,დასრულებული“.

ბ.ბ) უცხოეთში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების თანამშრომლებს და მათი ოჯახის წევრებს უფიქსირდებათ გადატანილი კოვიდ-ინფექცია, რაც დასტურდება სახელმწიფო უწყებების/საელჩოების ოფიციალური მომართვისა და შესაბამისი ქვეყნის დაწესებულების მიერ გაცემული ტესტირების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.

მუხლი 2. დაევალოს:

ა) სსიპ - ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს უზრუნველყოს:

ა.ა) პირველი მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დღეის მდგომარეობით ცოცხალი ბენეფიციარების იდენტიფიცირება;

ა.ბ) პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით, პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტში მითითებულ დაწესებულებებს მისცეს დაშვება დაარეგისტრირონ მე- 2 მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტში მითითებული ბენეფიციარები დადებითი შედეგით.

ბ) ჯესს და აიაპ - საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს, უზრუნველყონ პირველი მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარების სიების შესაბამის ელექტრონულ ბაზებთან დადარების პროცესის

შეუფერხებლად განხორციელების ხელშეწყობა;

გ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტს, პროცესის კოორდინაცია.

მუხლი 3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი	ხელმოწერილია/ მტკიცდასმულია ელექტრონულად	ზურაბ აზარაშვილი